

ჩემი გაზეთი

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.ა.ი.პ. საინფორმაციო, ინოვაციური ტექნოლოგიების, ზოგადსაგანმანათლებლო და მუშაობის განვითარების ფონდი

ახალი სასწავლო წელი ბაღდათის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 17 საშუალო და 4 საბაზო საფეხურის სკოლაში სწავლა 15 სექტემბერს დაიწყო. ყველა საჯარო სკოლა მაქსიმალურად იყო მზად ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დასაწყებად. ზაფხულის არდადეგების პერიოდში მოხდა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების განახლება. ჩატარდა მცირე კოსმეტიკური რემონტები, რამდენიმე სკოლაში მოხდა სპორტული მოედნებისა და სველი ნერტილების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მოწესრიგდა წყლის მიწოდების სისტემები, რაზედაც დაიხარჯა დაახლოებით 150 000 ლარი.



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, 15 სექტემბრის მდგომარეობით, ირიცხება 2403 მოსწავლე მათგან 234 პირველკლასელი. ყველა მოსწავლეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უფასოდ გადაეცა სასწავლო სახელმძღვანელოები, პირველკლასელები დასაჩუქრდნენ ბუკეტებით, მათ დამრიგებლებს გადაეცათ პორტაბელური კომპიუტერები.

მიმდინარე წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის 9 საჯარო სკოლის (სსიპ ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლა, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის №1 საჯარო სკოლა, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როკითის საჯარო სკოლა, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალთაშუის საჯარო სკოლა, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიშის №1 საჯარო სკოლა, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ მკორეთის საჯარო სკოლა და სსიპ ტარიელ კვირიკაშვილის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევის საჯარო სკოლა) 315 მოსწავლეს 17 მიმართულებით მოემსახურება ტრანსპორტი.

კვების ბლოკი იფუნქციონირებს 6 საჯარო სკოლაში (სსიპ ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლა, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის №2 საჯარო სკოლა, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხის საჯარო სკოლა, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როხის საჯარო სკოლა, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიშის №1 საჯარო სკოლა).

ყველა საჯარო სკოლა დაკომპლექტებულია შესაბამისი საგნის სპეციალისტებით. სპეციალური მასწავლებელი მუშაობს ბაღდათის 13 საჯარო სკოლაში და 40 სსსმ მოსწავლის აღზრდასა და განათლებას ემსახურება. ყველა სკოლაში, სადაც არის სსსმ მოსწავლე, იფუნქციონირებს რესურსთაბი.

4 საჯარო სკოლას (სსიპ ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლა, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიშის №1 საჯარო სკოლა და სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როხის საჯარო სკოლა) ემსახურება ექიმი. სამედიცინო კაბინეტები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, ტექნიკითა და პირველადი მოხმარების მედიკამენტებით.

ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და 12 საჯარო სკოლასთან თანამშრომლობს world vision იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამა. world vision-ის წარმომადგენლები ზოგადსაგან-

მანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობისას ითვალისწინებენ სკოლის საჭიროებებს, გეგმავენ პროგრამებს, ხდება დაფინანსების მიღება, მნიშვნელოვან საკითხებზე ატარებენ ტრენინგებს. მათგან შეიძლება გამოიყოს ბოლო დროს ჩატარებული ტრენინგი ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ, ასევე ტრენინგი ბულინგის თემაზე, რომელზეც სპეციალური სახელმძღვანელო შეიქმნა და სკოლებს დაურთდა.

2017-2018 სასწავლო წელს სიახლეა მოსწავლეთათვის უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნის თალსაზრისით – სსიპ ქალაქ ბაღდათის №1 და სსიპ ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლებში იფუნქციონირებს მანდატურის სამსახური.

მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ათეულობით მოსწავლემ 10-10 დღით დაისვენა საზაფხულო სასწავლო სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში (მანავი, კაჭრეთი, ანაკლია, წყნეთი, სალიბაური), სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან ერთად იყვნენ ჩართულნი საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობებში.

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდ-საქართველოს“ მიერ დაფუძნებულმა „ლიდერთა აკადემიამ“ ყველა საჯარო სკოლის დირექტორსა და ფასილიტატორს ჩაუტარა 5 დღიანი ტრენინგ კურსი წყალტუბოში. ინტენსიური ტრენინგ კურსები გაიარა აგრეთვე ათეულობით საგნის პედაგოგმა და შეფასების ჯგუფის წევრებმა, რომლებსაც ატარებდა „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“ სქემის განვითარების ფარგლებში.

დაწყებულია მზადება საჯარო სკოლების ზამთრის სათბობი შემთხვევაში მომარაგებაზე. სკოლებს აქვთ საკმარისი ფინანსური რესურსი, რითაც უზრუნველმოდ შეძლებენ სათბობი შემთხვევაში სკოლების უზრუნველყოფას. 5 საჯარო სკოლაში დამონტაჟებულია ბუნებრივ აირზე მომუშავე გათბობის სისტემა, რომლებიც სრულადაა გამართული და ზამთრის სეზონისთვის მომზადებულია.

ინფორმაცია მოგვანოდა ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა.

მარიამ ქორქელიძე



ხუთი 100 %-იანი

2017 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ბაღდათის მუნიციპალიტეტში 100 %-იანი დაფინანსება ხუთმა აბიტურიენტმა მოიპოვა.

ს.ს.ი.პ ქ. ბაღდათის №1 საჯარო სკოლიდან სალომე შამათავამ ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურნალისტიკისა და კომუნიკაციის ფაკულტეტზე ჩააბარა, ხოლო მარიამ ჩუბინიძემ ამავე უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე.

ს.ს.ი.პ ქ.ბაღდათის №2 საჯარო სკოლიდან თამარ კიკნაძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, ხოლო ანი მუკბანიანი ამავე უნივერსიტეტის დიპლომირებულ მედიკოსის ერთსაფეხურიან პროგრამას გაივლის უფასოდ.

ს.ს.ი.პ სოფელ დიშის №1 საჯარო სკოლიდან ანრი აბულაძემ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე ჩააბარა.

„ჩემი გაზეთი“ წარმატებას უსურვებს თითოეულ მათგანს!

აზა მახანიაშვილი

FLEX პროგრამის 2017 წლის შესარჩევი ეტაპი დაიწყო!

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის:

- * მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეს;
 - * დაბადებულებს 2001 წლის 1 იანვრიდან 2003 წლის 16 ივლისამდე;
 - * მოსწავლეებს, რომელთაც ბოლო 5 წლის მანძილზე არ უცხოვრიათ აშშ-ში 3 თვის ან მეტი ხნის განმავლობაში;
 - * არიან საქართველოს მოქალაქეები;
 - * ფლობენ ინგლისურ ენას;
- შეუძლიათ აშშ-ს ვიზაზე განაცხადის გაკეთება.

მონაწილეებმა ტესტირების ცენტრში გამოცხადებისას თან უნდა იქონიონ: დაბადების მოწმობის დედანი (ან პირადობის მოწმობა, ან პასპორტი), ერთი ახლადგადაღებული 3X4სმ ფოტოსურათი და კალამი.

ქუთაისში პირველი ტური გაიმართება 14 ოქტომბერს, №3 საჯარო სკოლაში. ნმ. ნინოს №2

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში ახალი სასწავლო წელი 2 ოქტომბერს დაიწყო. აქ პატარებს თბილი და მზრუნველი გარემო დახვდათ. სოფელ მეორე ოზრისა და დიშის მე-4 უბნის (სოფელი ენერი) ახლადაშენებულმა საბავშვო ბაღებმა წელს პირველად მიიღეს აღსაზრდელები.

ინფრასტრუქტურა

დასრულებული და დასრულებადი პროექტები

ბაღდათის მუნიციპალიტეტში წელს, პირველად, ინფრასტრუქტურულ პროექტებში დაახლოებით 4,2 მილიონი ლარი დაიხარჯება, რომლის ფარგლებშიც 11 პროექტი უნდა განხორციელდეს. 6 ინფრასტრუქტურულ პროექტზე მუშაობა მაის-ივნისში დაიწყო და დღეის მდგომარეობით 3 დასრულებულია: სოფელ ფერსათიდან სალხინო ეკლესიასთან მისასვლელი გზის 0,5 კმ-იან მონაკვეთზე დაგებულია ბეტონის საფარი; დასრულებულია სოფელ პირველი და მეორე ობჩის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ როდინოულთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის (3კმ.) და სოფელ პირველ ობჩაში მთისძირისკენ მიმავალი გზის (1,160კმ.) მონაკვეთზე ორფენიანი ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება, ასევე მონყობილია ღვარსადენები, მილხიდები და ცხაურები.



ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ხშირად ხორციელდებოდა სამუშაოების დათვალერება და კონტროლი, თუმცა დარღვევები შემსრულებელი კომპანიის მხრიდან მაინც დაფიქსირდა. სოფელ ფერსათიდან სალხინოს ეკლესიასთან მისასვლელი გზის სამუშაოების ნაწილი არ იყო შესაბამისი სტანდარტებთან და პროექტთან, კერძოდ, შემსრულებელი კომპანიის მიერ არ მოხდა გზის 350 კვ.მ-ზე არმირების მონყობა, რაც დაახლოებით 2500 ლარის სამუშაოებს გულისხმობდა. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებულმა მიღება-ჩაბარების მუდმივმოქმედმა და ასევე სპეციალურად ამ საკითხის შესას-

წავლად შექმნილმა დროებითმა კომისიებმა იმსჯელეს და გაცეს რეკომენდაცია, რომ შემსრულებელი კომპანიისათვის, ჯარიმის სახით, არ გადაერიცხათ 11 100 ლარი. სამუშაოები მიმდინარეობს და ოქტომბრის ბოლომდე უნდა დასრულდეს ბაღდათისაკრალას ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის საკრალა-წიფის (3,1კმ.) მონაკვეთი, სოფელ დიშში მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე მისასვლელი გზის 1,5 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია და სოფელ ფერსათსა და წითელხევში მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით სათავე-ნაგებობის, წყალმომკრები რეზერვუარისა და მაგისტრალური ქსელის მონყო-



ბა. ეს უკანასკნელი პროექტი სექტემბერში უნდა დასრულდეს, მაგრამ პროექტში გარკვეული ცვლილებების გამო კომპანიას სამუშაოების დასასრულებლად ვადა 10 ოქტომბრამდე მიეცა. პროექტის ფარგლებში აიგო 2 წყლის რეზერვუარი. ერთი – 160 ტონიანი, რომელიც წყლით მოამარაგებს ფერსათის მოსახლეობას, ხოლო მეორე – 50 ტონიანი, რომელიც გათვლილია წყლის განაწილების, დაქლორვისა და განმედიტი სამუშაოებისათვის. სასმელი წყლით 1200 მოსახლე დაკმაყოფილება და მათ 5 წყლის რეზერვუარი მოემსახურება, მათ შორის 3 ძველი აგებულია. რაც შეეხება ახალ პროექტებს, მათზე მუშაობა უკვე დაწყებულია და 2017 წლის ბოლოს დასრულდება. ესენია: ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ კაკასხიდიდან სოფელ ხანამდე მისასვლელი გზის მონაკვეთის (მიმდინარე წელს 2000 მ. საერთო ჯამში 4400მ.) ბეტონის საფარით მონყობა; ქ.ბაღდათში თოდაძის ქუჩის საავალი ნაწილის რეაბილიტაცია; სოფელ დიშში ადამაძეებისა და გიორგიძეების უბანში მდ. ხანისწყალზე ნაპირსამაგრის მონყობა; ქ. ბაღდათში ბაღდათის ქუჩის გზის საავალი ნაწილზე ბეტონის საფარის დაგება, გვერდულისა და აგრობაზრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმონყობა; სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ბაღდათის რაიონული ოფისის მშენებლობა, აქ სამუშაოები მალე დაიწყება, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმება. ამ პროექტებიდან გარდამავალია ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ კაკასხიდიდან სოფელ ხანამდე მისასვლელი გზის მონაკვეთის ბეტონის საფარით მონყობა, რომლის საბოლოოდ დასრულებაც 2018 წლის ბოლოს იგეგმება. ზემოთ აღნიშნული პროექტები ხორციელდება რეგიონალური განვითარების ფონდისა (რგფ) და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით. მიმდინარე წელსვე იგეგმება და მალე დაიწყება 2 პროექტზე მუშაობა – სოფელ შუბანში დამენყრილი გზის გვერდულის აღდგენა-გამაგრების სამუშაო; ყოფილი რაიკავშირის შენობის სახურავის რეაბილიტაცია. ამ 2 პროექტის განხორციელება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხიდან მოხდება. ინფორმაცია მოგვანოდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მონყობის სამსახურის უფროსმა კახა მსხვილიძემ.

მდინარის გადაგდება, კალაპოტის განმედა, ნაპირსამაგრის დიდი ლოდებით გამაგრება. საკმაოდ რთულია და პრობლემებიც გამოიკვეთა ქ. ბაღდათში ბაღდათის ქუჩის გზის საავალი ნაწილზე ბეტონის საფარით მონყობის სამუშაოებზე, რის გამოც გარკვეულ მონაკვეთზე მოხდა ბეტონის აყრა და ხელახალი დაგება. აქაც შემსრულებელი კომპანიის მხრიდან პრობლემები იყო ხარისხთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურში აცხადებენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ხარისხი და სამუშაოს დასრულების ვადები. რაც შეეხება სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ბაღდათის რაიონული ოფისის მშენებლობას, აქ სამუშაოები მალე დაიწყება, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმება. ამ პროექტებიდან გარდამავალია ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ კაკასხიდიდან სოფელ ხანამდე მისასვლელი გზის მონაკვეთის ბეტონის საფარით მონყობა, რომლის საბოლოოდ დასრულებაც 2018 წლის ბოლოს იგეგმება. ზემოთ აღნიშნული პროექტები ხორციელდება რეგიონალური განვითარების ფონდისა (რგფ) და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით. მიმდინარე წელსვე იგეგმება და მალე დაიწყება 2 პროექტზე მუშაობა – სოფელ შუბანში დამენყრილი გზის გვერდულის აღდგენა-გამაგრების სამუშაო; ყოფილი რაიკავშირის შენობის სახურავის რეაბილიტაცია. ამ 2 პროექტის განხორციელება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხიდან მოხდება. ინფორმაცია მოგვანოდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მონყობის სამსახურის უფროსმა კახა მსხვილიძემ.

ანა ქორიძე

27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, ბაღდათის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა, აფხაზეთის ომში დაღუპული გმირების პატივსაცემად, გამგეობის წინ, სკვერში მდებარე მემორიალი გვირგვინით შეამკო. ვანისა და ბაღდათის ეპარქიის მღვდელმსახურებმა მათი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა კი აფხაზეთის ომში დაღუპულ ბაღდათელთა ოჯახის წევრებს ერთჯერადი ფულადი დახმარება გაუწია.



პროექტ „დავასუფთავოთ საქართველოს“ ფარგლებში ჩატარებულ დასუფთავების აქციას, რომელიც „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამინის მეგობრები – საქართველოს“ ორგანიზებით გაიმართა, ბაღდათის მუნიციპალიტეტში შეუერთდა. დასუფთავდა როგორც ქალაქ ბაღდათის მიმდებარე, ასევე სოფლების ტერიტორიები.

#გაიცანიბალდათი

1 4 ნ ა ბ ი ჯ ი თ ზ ი ნ

ადამიანი მთისა და ბუნების აღქმისას ხედავს საკუთარი სულის ანარეკლს. თუკი ადამიანში ბოროტებაა, ის უთუოდ იჩენს თავს, ხოლო მასში არსებული სიკეთე საშუალებას მისცემს ბოლომდე შეიგრძნოს ირგვლივ არსებული ბუნების სინატიფე.

მოლაშქრეთა კლუბმა „დიდმაღალი“ შექმნა პროექტი – „გაიცანი ბალდათი“, რომლის მიზანი არის საქართველოსთვის, მის ფარგლებს მიღმა მყოფებისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბალდათელებისთვის გაგვეცნო ის ისტორიული თუ ბუნებრივი ფასეულობები, რომელიც ბალდათში ასე უხვადაა და მისი არსებობა დაინყებასაა მიცემული.



დანყებული გოთიეთის „წყალთეთრას“ დიდებული ჩანჩქერით, ქართული დროშის სიმბოლური ამბლებითა და საქართველოს ოკუპაციის დღის აღნიშვნით (25 თებერვალი) ჩაეყარა საფუძველი პროექტს „გაიცანი ბალდათი“.

შემდეგი ნაბიჯი სოფელი ნებიერეთი იყო. მხოლოდ ოთხი მოსახლითა და ულამაზესი ბუნებით. ნებიერეთი ერთგვარი გზაგასაყარია – აქედან მოლაშქრეებს შეეძლებათ ბერიეთის, ალისმერეთის, კაკასხიდის, საკრაულას, გოგობოსელის და ხანის ბილიკებით „ხეტიალი“.

რამდენ ისტორიას მარხავს ქვები, რამდენი ლეგენდა, თქმულება, ამბავი ცოცხლობს წითელხევის მთიანეთში, სწორედ ეს შეგრძნებები იყო სოფელ წითელხევის ვანიგანის ეკლესიაში, ამჟამად თითქმის იავარქმნილი, თუმც მანც ცოცხალი, კედელზე ანთებული სანთლების კვალით, ხატი და ბუნების საოცრებით. სწორედ ამ გზით დაინეთ სალაშქრო ბილიკების მარკირება.

საკრაულასა (სოფ. კიკნაველეთი) და სოფელ ხანის მთებში იყო გადადგმული მომდევნო ნაბიჯები. ხანში შეგეძლებათ იხილოთ „საქუხარას“ ჩანჩქერი, რომელიც საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე, გულაშვანის ხელოვნური ტყეპარკი, რომელიც XX საუკუნის 50-იან წლებშია გაშენებული მცენარეთა დაავადების (ლაფანჭამია, ექცსკილა ქირქიჭამია) წინააღმდეგ, არსებული 33 სახეობის წინვოვანი მცენარის ნერგებიდან დღემდე შემორჩენილი 30 სახეობა. ხანი რომ ცენტრს წარმოადგენდა, ამის ნათელი დადასტურებაა მისი ძირძველი ტაძრები – ტყელას სალოცავი, ლეგენდებითა და ისტორიებით მდიდარი. როდესაც ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა

საქართველოში იმოგზაურეს, მათ, იქ, სადაც ხანის ზონა ალპურ ზონას უერთდება აღმართს რკინის ჯვარი. სწორედ იმ ადგილზე აიგო თორმეტი მოციქულის სახელობის ეკლესია, მნიშვნელოვანია XII-XIII საუკუნის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი. ზღვის დონიდან 1100 მეტრზე მყარად დგას რამდენიმე ტონიანი ქვის ლოდი, რომელშიც გამოკვეთილია სამ განყოფილებიანი საწნახელი. ლოდის სიმაღლე 1,8–2,0 მეტრია, სიგრძე 3,5 მ. ხოლო სიგანე 4 მეტრს აღწევს. ვიდეო რგოლებისა და ფოტოების სოციალურ გვერდებზე გამოქვეყნებით კი დაინტერესებაც მალე გამოიწვევით და ბალდათის ახალგაზრდული საკრებულოს წარმომადგენლები სწორედ ამ თვალწარმტაც ბუნებას ვაზიარეთ.

მთის ციკაბოებს აყოლა, როცა ცისკენ მიმავალი სახით მიწას ეხები (მოლაშქრეები გაიგებენ), მაგარი ადრენალინია. სწორედ ასეთი იყო ნაბლარასხევის კლდეების ვინრობებით „წითელი მინდვრისკენ“ მიმავალი საცალფეხო ბილიკები, გზად 2 ულამაზესი ჩანჩქერით.

მთა-მთა ხეტიალში ერთი წლის გახდა კლუბი „დიდმაღალი“ და საიუბილეოდ, აბა სად, ისევ მთებში წავედით და ამჯერად „გაიცანი ბალდათის“ პროექტის ფარგლებში კაკასხიდის მღვიმე მოვიწახულებით, რომლის პირველი დარბაზის სიგრძე დაახლოებით 40 მეტრია, სხვა დარბაზებში, რომელიც, როგორც ამბობენ, მღვიმეს გაცილებით დიდი აქვს, დღესდღეობით შესვლა ვერ ხერხდება ჩამონოლილი ლოდებისა და მიწის გამო.

„გაიცანი ბალდათი“ არის არა მხოლოდ ადგილების გაცნობა, არამედ ტრადიციების, ინდივიდების, ისტორიისა და ლეგენდების გაცნობა, ამიტომ მოდევნო ნაბიჯი – ელაობის დღესასწაული იყო, სულთმოფენობის მეორე დღეს რომ იმართება სოფელ ხანში.

არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვით, წმინდა გიორგის სალოცავზე ირემი მიდოდა, ტაძარს სამ წრეს უვლიდა და მსხვერპლად ეწირებოდა, ერთხელაც გვარად ტაბეშაძეს ირემი დაუკლავს და განრისხებულ წმინდა გიორგის ტაბეშაძეთა გვარი სასტიკად დაუსჯია. გადარჩენილა მხოლოდ ჩვილი ბავშვი და სოფლის მოსახლეობას მის შესანყალებლად წმინდანისთვის ყოველ მესამე წელს მოზვერის შეწირვა აღუთქვამს. ამ აღუქმას დღემდე ასრულებს ტაბეშაძეთა გვარი. ულამაზესი ბუნების ნიაღში გახვეულს ნამდვილად მოგინდება კვლავ იხილოთ და მოილოცოთ სოფელ ხანის წმინდა გიორგის ეკლესია და დაესწროთ ელაობის დღესასწაულს. ტრადიციებისა და ეკლესიების გადაღება ბალდათის ტეხსვანის წმიდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის მამათა მონასტრისა და 2 აგვისტოს ელია თესბიტელის ბერიეთის ნაეკლესიარის გადაღებით განვარძეთ. 12 აგვისტოს კი სახალხო დღესასწაულზე „ზეკარი“ ნანახ-განციდლის გამოტანა შევქმელით და ბალდათით დავანტერესეთ იქ მყოფი საზოგადოება.

ბევრისთვის უცნობი სოფელ ნებიერეთიდან გადავწყვიტეთ, კიდევ ერთი სოფლის ისტორია და სილამაზე გადმოგვეცა, ასეთი იყო ზეკარი, სოფლისაკენ მიმავლებმა მოვიწახულებით მისი უცნობი ციხე-სიმაგრე, დიად მუხამი ჩაბრძანებული ხატები, გავეცანით ტრადიციას, რომელსაც ამ სამლოცველოსთან აღნიშნავენ. სოფელში ასულნი მისი სილამაზის ტყვედ ვიქეცით.

სოფელ ზეკარზე არ შევჩერდით და მომდევნო ზეკარის ხეობა იყო – „გარდავალს აქედან ოძრახედან გზა კაკასხიდზე ბალდათს, ამ გზას ეწოდა, მთით, რკინის ჯვარი,“ – წერს მე-18 საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოს-გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი. „ეს გზა დასავლეთ საქართველოს აკავშირებდა სამცხე-ჯავახეთთან და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან; ჰქონდა როგორც სავაჭრო, ასევე სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება და იგი ბევრად უფრო ძველია, ვიდრე ქართული და უცხო ისტორიული წყაროებით არის ცნობილი“ (ზურაბ თოლორდავა – ზეკარის ხეობის ტოპონიმია). ხეობის მკვიდრისა და მისი

ყოველი კუთხისა თუ წარსულის კარგად მცოდნე სერგო აკიმჩევის მეგზურობით კაკასხიდიდან მდინარე ქერშავეის (ქერშოულა) გულგუნის თანხლებით მოლაშქრეებმა ზეკარის ძველი კურორტ-სანატორიუმი, ზეკარის აბანოები, მადნის სერი, კლდეგაჭრილა, თამარის ხიდი, მე-19 საუკუნეში აგებული რკინის ხიდები, სოფლების ვენახქალასა და ქერშავეის ნამოსახლარები, ფოშტის ლეღე, ორბოძალა ლეღე, ალისტახტის ჩანჩქერი და „საქორწილო ტახტი“ ინახულეს.

როგორც აღვნიშნე, ვიდეო რგოლების აქტიურად გადაღებასა და მის სოციალურ ქსელებში განთავსებას დაინტერესება მოჰყვა, ჩვენი პროექტი – #გაიცანიბალდათი ქუთაისში სტუმრად მყოფი უკრაინელები დაინტერესდნენ და წითელი მინდვრისკენ, ქვასაყდარასა და დიდმაღალისკენ მეგზურობა გვთხოვეს.

ბალდათის საინფორმაციო ცენტრის ოთახში (სადაც კლუბი ცხოვრობს) რომ შემოვიხედეთ, ART საოცრებაში მოხვდებით, სწორედ ასეთი საოცარი მუხტით, ART შემოქმედებითა და ფერებით იყო მომდევნო ლაშქრობაც. #გაიცანიბალდათი „ხანის შემოდგომა“ – ყვითელი ფოთლებით მოფარდაგებული ბილიკებით, მთების სიღრმეში შესულთ კლუბმა „დიდმაღალმა“ მოლაშქრეებს ჩანჩქერთან სახელდახლოდ მოწყობილი სალონ-ბანაკი შესთავაზა, მათაც ფუნჯ-ფანქარი მოიმარჯვეს და „ტილოზე“ ჩნდებოდა ხაზები, ფიგურები, ფერები და, რა თქმა უნდა, ტოტებიდან მიწისკენ მოფარფატე ყვითელი ფოთლები, ისმოდა საქუხარას ქუხილი და მოლაშქრეთა რითმები. ხანის ჩანჩქერზე პირველმოლაშქრეებმა ასე გაიცნეს და მოხატეს ბალდათი.

კლუბის ისტორიიდან პროექტს „გაიცანი ბალდათი“ დიდი როლი და დატვირთვა აქვს, დღემდე 14 ჯერ გვაქვს დანალაშქრი ბალდათის ღირსშესანიშნაობები.

14 ნაბიჯი გვაქვს განვლილი და მომავალშიც ბევრის გავლას ვაპირებთ...

კლუბის მიზანი დღემდე იყო „ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია“ ახალგაზრდა თაობაში, თუმცა ამ მიზანს შემატევეც მოჰყვა – „გაიცანი ბალდათი, გაგვიცნოს ბალდათმა“.

საქართველო ყველაზე თვით

ამერიკული ტელეარხი – CNN-ი ლაშქრობის მოყვარულებს ურჩევს, მოინახულონ საქართველო, რომელსაც „კავკასიურ კარიბჭეს“ უწოდებენ.

თავის შთაბეჭდილებას მოგზაურობაზე გვიზიარებს CNN-ჟურნალისტი ალირეზა შაჯი ჰოსეინი. მთაგორიანი საქართველოს გაცნობა მან მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან დაიწყო.

„ყაზბეგი – სიმაღლით მესამეა საქართველოში. ის ბატონობს აქ, ღრუბლებში შეჭრილი დათოვლილი მწვერვალით. მისი გამჭოლი მზერის ქვეშ მდებარეობს გერმეთის სამების ტაძარი. ის აღმართულია

ზღვის დონიდან 2170 მეტრ სიმაღლეზე და ითვლება პოპულარულ ადგილად პილიგრიმებისათვის და მთის მოგზაურებისთვის“ – საუბარია სტატიაში.

„დილით ჯუთაში ჩასვლას გვხვდება დედაქალაქ თბილისიდან და მიმდებარე ქალაქებიდან რეგიონში უწყვეტ ნაკადად მიმავალი მოლაშქრეები. ზამთრის თვეების განმავლობაში სოფელი სრულიად მონყვეტილია და ამიტომ მწვერვალი პოპულარულია სწორედ ახლა“ – განმარტავს ჰოსეინი.

ის აღნიშნავს, რომ ჯუთა არის ერთ-ერთი ადგილიაგანი, სადაც შეიძლება დააგემოვნო „კუს ერბო“ – შემწვარი კარტოფილი, ზევიდან მოხეხილი ყველით. მას ტრადიციულად ამზადებენ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში. თითოეულ რეგიონში ამ კერძის რეცეპტი განსხვავებულია. ასე რომ, ჯუთაში

ყველთან ერთად აკეთებენ შემწვარ კარტოფილს, ხოლო ხევსურეთში – მოხარშულს.

სოფელ ჯუთადან ამერიკელმა ჟურნალისტმა ჭიუხებშიც ილაშქრა.

„ამ მარშრუტს ირჩევს ყაზბეგში მყოფი ყველა მოგზაური. ეს გზა წარმოადგენს საკმაოდ რთულ, მაგრამ წარმოუდგენლად ლამაზ ადგილებს. ჭიუხის თოვლიან მწვერვალისკენ მიმავალ გზაზე, მთებში, გვხვდება თვალწარმტაცი ტბა და ალპური ყვავილების მწვანე დაბლობები. ხედეები გვაჯადოებენ ბუნებით, რომელიც ადამიანისგან ხელშეუხებელია. ტბასთან ჩვენ შევხვდით ტურისტებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. გაბედული უკრაინელების ჯგუფმა გადაწყვიტა შესულიყო ყინულიან წყალში. აქვე იმყოფებიან ტურისტები რუსეთიდან და თურქეთიდან, რომლებიც მიერთებენ ხილს და ტკბებიან პეიზაჟებით“ – მოგვითხრობს ჟურნალისტი.

ჟურნალისტს აქვე შეხვდა მოგზაური ამერიკის შტატ კოლორადოდან, რომელმაც გაუზიარა თავისი შთაბეჭდილება საქართველოს შესახებ.

„მთელი ეს ქვეყანა სამხრეთ კაროლინის ტოლია, თუმცა აქ უამრავი სანახაობით დატკბები. მთებში არის ახალი სამთო და ველო მარშრუტები, თუმცა შენარჩუნებულია ძველი ტურიზმის კულტურაც. გარდა ამისა, განსაცვიფრებელია საკვები, ასეთი სტუმართმოყვარე ხალხი კი სხვაგან არსად მინახავს“ – ამბობს ამერიკელი ტიმი, რომელიც იმყოფება კავკასიაში ორკვირიანი ტურით.

ჟურნალისტი ეთანხმება თავის ახალ ნაცნობს და ასკენის, რომ „საქართველო არის არაჩვეულებრივი ქვეყანა“.

„საქართველოში არის ბევრი უნიკალური რამ – საუკეთესო საკვები და გულუხვი სტუმართმასპინძლობა შერწყმული ულა-

მაზე ბუნებასთან. მისი მთაგორიანი ადგილები ნელ-ნელა ტურისტულ მექად ყალიბდება, ასე რომ, აქ თავი შეიძლება იგრძნო რომანტიკოს ალმომჩენად“ – დაასრულა ალირეზა შაჯი ჰოსეინმა.

წყარო: CNN travel
ნიმუ სახამაერიძე



ლიტვურ გაზეთში საქართველოზე გამოქვეყნებულ ამ ნორიში, ერთი ქვეთავი ბაღდათსაც დაუთმო არტურას უაუგლამ, რომელიც ნითელ მინდორზე კოლეგებთან ერთად მოგზაურობისას, ინტერესით ადევნებდა თვალს, როგორ ვილებდით ჩვენი მოცეკვავეების ვიდეო კლიპს. ასე გაიცნო ბაღდათი არტურასმა და ლიტვასაც გააცნო.



კ ა რ ჭ ყ ხ ა

„ანტიგონე“ ბაღდათის თეატრის სცენაზე

რევაზ ლალიძის სახელობის ბაღდათის კულტურის ცენტრი ცხელი ზაფხულის შემდეგ განახლებული ძალებით შეუდგა მუშაობას. 25 სექტემბერს გაიმართა სპექტაკლ „ანტიგონეს“ პრემიერა, ამ თემაზე სასაუბროდ „ჩემი გაზეთი“ კულტურის ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელ ბ-ნ პავლე აბულაძეს ესტუმრა. როგორც რესპონდენტმა გვითხრა, „ანტიგონეს“ დასადგმელად სპეციალურად მოიწვიეს ახალგაზრდა რეჟისორი ლევან ბიბილეიშვილი, რომელიც საქმიანობს მესხიშვილის სახელობის თეატრში, აქვე აქვს დადგმული მოქმედი პიესა „სტუმარი“. მას წარმატებით აქვს დადგმული ერთი სპექტაკლი ტყიბულში, ერთიც – ჭიათურაში. ბიბილეიშვილი რეზო

გაბრიადის მოსწავლე იყო და ამ ზაფხულს თემურ ჩხეიძის სამსახიობო ჯგუფში ჩაირიცხა. სპექტაკლში მონაწილეობდა 6 მსახიობი, მათ შორის ორი ახალი (ანტიგონეს როლის შემსრულებელი ელენე ქურთიშვილი და ჰემონის როლის შემსრულებელი ზაალ ლილუაშვილი). პრემიერამ წარმატებით ჩაიარა, სპექტაკლმა დიდი მონონება დაიმსახურა, ბ-მა პავლემ გვითხრა, რომ თეატრის ხელმძღვანელობის მიერ მოლაპარაკება ხდება, რათა ახალი სპექტაკლის ჩვენება თუმანიშვილისა და მესხიშვილის სახელობის თეატრებში გაიმართოს. საუბარს ესწრებოდა კულტურის ცენტრის დირექტორი ბ-ნი ბაჩუკი მშვილდაძე, მან სა-

მომავლო გეგმებზეც გვესაუბრა, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ფოლკ-ბენდის შექმნაზე, ასევე იგეგმება თოჯინების თეატრის ჩამოყალიბება, საჭირო ფინანსების მოძიებისთანავე, პროექტი რეალურ სახეს შეიძენს, ასევე ჩაფიქრებულია მინიატურების თეატრის შექმნა. ამჟამად მიმდინარეობს რევაზ ლალიძის სახელობის ბაღდათის ხელოვნებისა და მუსიკის განვითარების ფონდის კულტურის ცენტრის ა.ა.ი.პ-დან გამოყოფის პროცესი, ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალში გეგმავს რევაზ ლალიძის სახელობის ვარსკვლავის გახსნას.

ა ზ ა მ ა შ ა ნ ი შ ვ ი ლ ი

საქართველოს პრემიერმინისტრის ინიციატივით, 2014 წლის ივნისიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა ახალი სამთავრობო პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ განხორციელება დაიწყეს.

„ანარმოე საქართველოში“ ბაღდათში



სამთავრობო პროგრამა მიმართულია წარმოების განვითარებისა და წახალისებისაკენ, რომლის მთავარ მიზანს მწარმოების განვითარება, მენარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა წარმოადგენს.

პროექტ „ანარმოე საქართველოში“ ფარგლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტშიც არაერთი პროექტი განხორციელდა. მათ შორის ერთ-ერთია ბატონი მერაბ ნერგაძის საწარმო. ბატონი მერაბი ხის მასალაზე 1983 წლიდან მუშაობს. 2016 წლის ბოლოს ოჯახის წევრების დახმარებით შექმნა ამხანაგობა „ნერგი“ და მონაწილეობა მიიღო „ანარმოე საქართველოს“ პროექტში. გაიარა კონკურსის ყველა ეტაპი და მიიღო დაფინანსება 15 000 ლარის ოდენობით. თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 3 000 ლარი. თანხა მოხმარდა დანადგარების შეძენას. ბატონი მერაბი პროექტამდე ხის ავეჯის დამზადებაზე მუშაობდა, ხოლო ამ ეტაპზე ანარმოებს წარდსა და ჭადრაკს. საწარმოში ძირითადად იყენებენ შემდეგ ხე-მასალას: კაკალი, უთხოვარი, ნეკერჩხალი, ბზა, ძელქვა (ამუშავებენ ამ მცენარეების ტოტებს).

რაც შეეხება გასაღების ბაზარს, ამ კუთხით ბატონი მერაბის შვილი მუშაობს და, მისი თქმით, წარდი გასაყიდად საზღვარგარეთაც გავიდა, ხოლო ჭადრაკი მხოლოდ საქართველოში იყიდება. ამ ეტაპზე, დილერების დახმარებით, მიმდინარეობს საზღვარგარეთიდან მომხმარებლების მოძიება, არის შემოთავაზებები სხვადასხვა ნივთების წარმოების თაობაზე. ამჟამად მუშაობენ მუსიკალური სასმისის დამზადებაზე (სასმელის დაღვების დროს სასმისში დამონტაჟებული სპეციალური მოწყობილობა იწყებს სიმღერას). სამომავლოდ გეგმავენ სუვენირების დამზადებასაც.

ანა ქორიძე



სვდრის მკაცრება

ბრძოლა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ

სექტემბერში, ტემპერატურის კლებასთან ერთად, გამოსაზამთრებელი ადგილის მოპოვების მიზნით, გააქტიურდა ახალი ინვაზიური მავნებლის – აზიური ფაროსანას შემოტევა საცხოვრებელ სახლებსა თუ მიტოვებულ შენობებში. შესაბამისად, გაიზარდა მოსახლეობის მომართვიანობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბალდათის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურმა შეისწავლა მუნიციპალიტეტში მავნებლის გავრცელების კრიტიკული წერტილები, დაისახა სამოქმედო გეგმა აზიური ფაროსანას პოპულაციის შესამცირებლად. სამსახური აღნიშნული მიმართულებით განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს, ყოველდღიურად, თითოეულ ტერიტორიულ ორგანოში, უბნების მიხედვით ხვდება მოსახლეობას, საჯარო სკოლის პედაგოგებსა და უფროსკლასელებს, მსხვილ და საშუალო ფერმერებს, რომელთაც შესაბამისი თვალსაჩინოებების გამოყენებით აცნობს მავნებელთან ბრძოლის მექანიკურ და ქიმიურ მეთოდებს, გადასცემს საინფორმაციო ბუკლეტებს. ამ დროისათვის შეხვედრები შედგა შემდეგ ტერიტორიულ ორგანოებში: ქ. ბალდათი, ფერსათი, შუბანი, ოზა და დიმი. თითოეულ სოფელში ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა. შეხვედრები გაგრძელდება ოქტომბერშიც.

აზიური ფაროსანა (იგივე აზიური ბალდინჯო, ლათ.: Halyomorpha halys) წარმოადგენს მავნებელ მწერს, რომელიც იკვებება მასპინძელი მცენარეებით. მავნებელი საქართველოში პირველად 2015 წელს გამოჩნდა. მისი სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაა. მწერმა 2016 წლის სეზონზე თხილის მოსავლის მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. თხილის გარდა ბალდინჯო აზიანებს თესლოვანი და კურკოვანი ხეხილის სხვადასხვა სახეობას, კენკროვნებს, ბოსტნეულ კულტურებს; განსაკუთრებულ ზიანს აყენებს ატამს, ვაშლატამას, ვაშლს, მსხალს, ყოლოს, პომიდორს, წინაკას, მზესუმზირასა და სიმინდს, ამცირებს მათ ხარისხს და, ზოგიერთ შემთხვევაში, გამოუსადეგარს ხდის მოსავალს. მავნებლის ძლიერი აფეთქების დროს ზარალმა, შესაძლოა, მოსავლის ღირებულების 70%-ც კი შეადგინოს.



აზიური ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილია ცხელი ხაზი: **სამეგრელო 16 600 (ზარი უფასო) გურია – 16006 (ზარი უფასო) იმერეთი – 16 601 (ზარი უფასო) სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო სამსახური – 15 01**

აზიური ფაროსანა გაზაფხულზე – აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისიდან მცენარეზე სახლდება და მავნეობას გვიან შემოდგომამდე აგრძელებს. მავნებელი იკვებება ფოთლის, ყლორტისა და ნაყოფის წვენი. ფაროსანა ხორთუმის მეშვეობით ხვრეტს ახალშემოსული თხილის ნაჭუჭს, ათხელებს

ნაყოფის შიგთავსს და წარმოქმნის კორპისებრ ლპობად ლაქებს.

ფაროსანას მიერ დაზიანებული ხეხილის ნაყოფი დეფორმირდება, დაზიანების ადგილებში ვითარდება ყავისფერი ლაქები და ხილი საკვებად გამოუსადეგარი ხდება. ფაროსანა ტაროს რძისებრ სიმწიფეში შესვლის პერიოდში სიმინდზე გადადის. ის ინტენსიურად ჩხვლეტს სიმინდის ფუჩქებს და აზიანებს მარცვალს. მავნებელი გამოსაზამთრებლად შედის საცხოვრებელ სახლებში, ფარეხებში, ცხოველთა სადგომებში, ფარდულეებში. ძვრება ნაპრალებში, სხვენზე, კარისა და ფანჯრის ღრიტოებში, ასევე ბაღებსა და ტყეში ჩამოცვენილი ფოთლების სქელი ფენის ქვეშ და ხეების ფულუროებში.

გამოზამთრების შემდეგ, აპრილის ბოლოს – მაისის დასაწყისში, აზიური ფაროსანა გამოდის, იწყებს მცენარეებით კვებას და კვერცხდება. აზიური ფაროსანა სულ 200-მდე კვერცხს დებს, მათ შორის ერთ კერაში 30-მდე კვერცხს, ძირითადად ფოთლის ქვედა მხარეს ჯგუფებად. კვერცხი თეთრი ფერისაა და გამოჩეკვის წინ იღებს ოქროსფერ შეფერილობას. 4-5 დღეში ჩნდება მონათლო ნიმფები (მატლები), რომლებიც ფერს თანდათან იცვლიან (მეორე ასაკში

მოშავო, ხოლო შემდგომ – მოთეთრო-ყავისფერი ხდება). 5 ასაკის გავლის შემდეგ გადაიქცევიან ზრდასრულ მავნებლად – იმაგობად. 50-55 დღეში აღწევენ ზრდასრულ ასაკს, რომლის ზომა 12-17 მმ-ია. განიერი, ყავისფერი, მარმარილოსებრი ტექსტურა, ხოლო ფეხებზე, მუცლის კიდევსა და ულვაშებზე – თეთრი ზოლები.

აზიური ფაროსანას მცენარეთა შენამვლით ებრძვიან. ისინი ინსექტიციდებით უნდა დამუშავდეს მხოლოდ მავნებლით დასნებოვნებულ ადგილებში. მნიშვნელოვანია, ქიმიური წამლობა ჩატარდეს ნიმფის (მატლის) ფაზაში. აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გამოიყენება

ნაალმდეგ გამოიყენება საქართველოში რეგისტრირებული სინთეზური პირეტროიდებისა და ნეონიკოტინოიდების ჯგუფის ინსექტიციდები. საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების მიხედვით და ამერიკელი მეცნიერების გამოცდილებით, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ყველაზე ეფექტურია პირეტროიდული ჯგუფის ბიფენტრინის შემცველი პრეპარატები, რომელთაგანაც საქართველოს ბაზარზე ხელმისაწვდომია: ტალსტარი, ზონდერი, ინსეკარი და კურაკურა. პრეპარატების ხარჯვის ნორმა 0,6-1 ლ ჰექტარზე.

ფაროსანას წინააღმდეგ ასევე გამოიყენება შემდეგი დასახელების ინსექტიციდები: პირინექს სუპერი (ბიფენტრინი + ქლოროპირიფოსი) 0,8-1,5 ლ ჰექტარზე; ანტიბრუმი (ბიფენტრინი + იმიდაკლოპრიდი) 1კგ. ჰექტარზე; ნურელ დ (ქლოროპირიფოსი + ციპერმეტრინი) 0,4-1 ლ ჰექტარზე; ევდალ-ფოსეტრინი (ქლოროპირიფოსი + ციპერმეტრინი) 0,4 ლ ჰექტარზე; არივო (ციპერმეტრინი) 0,2 ლ ჰექტარზე; აქტარა (თიამეტოქსამი) 0,12-0,14 კგ ჰექტარზე; კონფიდორ მაქსი (იმიდაკლოპრიდი) 0,1 კგ ჰექტარზე...

პესტიციდების გამოყენებისას აუცილებელია დაცვის ინდივიდუალური საშუალებები – სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი, რესპირატორი, აირწინალი, დამცავი სათვალე და ხელთათმანი. შესხურებისას აკრძალულია თამბაქოს მოწევა, საკვების მიღება. პესტიციდების გამოყენების წინ დახურული სასამელი წყლის ჭები, დაამწყვდეთ ფრინველი, საქონელი, შეზღუდეთ ფუტკრის ფრენა. შენამვლი პროდუქტის საკვებად გამოყენება დაუშვებელია წამლობიდან 18-20 დღის განმავლობაში. წამლობა ტარდება უქარო ამინდში დილას ან საღამოს, ან ღრუბლიან ამინდში შუადღის საათებში. არ შეიძლება ქიმიური პრეპარატების გამოყენება ღია წყალსაცავებისა და წყალსატევების სახელოვან.

მნიშვნელოვანია, რომ ხეხილისა და თხილის ბაღებში მაისიდან დაიწყოს ინტენსიური დაკვირვება მასპინძელ მცენარეებზე. პირველი წამლობა ტარდება ნიმფების მასიური გამოჩეკვის შემდეგ. კოლხეთის დაბლობში – ივნისის დასაწყისში, ხოლო მაღალი ზონის ადგილებში – შედარებით მოგვიანებით. ინსექტიციდების შესხურება ძირითადად ტარდება თხილნარებში, რადგან ამ პერიოდისათვის მავნებელი უპირატესად ამ კულტურაზე დასახლებული. ამავე პერიოდში ტარდება შესხურება ნაყოფის მო-



ცემ ხეხილოვან და ბოსტნეულ კულტურებზე. მეორე წამლობა ზემოთ ჩამოთვლილ კულტურებზე ტარდება ივნისის ბოლოს – ივლისის დასაწყისში. მესამე წამლობა ტარდება თხილის მოსავლის აღების შემდეგ. მეოთხე წამლობა ტარდება სიმინდის და სხვა ნათესებში გავრცელებულ მავნებელზე ივლისის ბოლოს – აგვისტოს დასაწყისში. მეხუთე წამლობა ტარდება სიმინდის ნათესებში საჭიროების მიხედვით.

მოსახლეობამ გამოსაზამთრებლად თავშეფარებული მავნებლები უნდა შეაგროვოს და მექანიკურად გაანადგუროს. მავნებლის წინააღმდეგ ტარდება შემდეგი სახის ღონისძიებები:

1. მზადდება მარტივი კონსტრუქციის მუყაოს ან სხვა მასალის თავშესაფარი, რომელშიც მჭიდროდ თავსდება კვერცხის ჩასაწყობი მუყაოს ფირფიტები ან მსგავსი მასალა. აღნიშნულ თავშესაფრებს, გამოსაზამთრებლად დაძრული ფაროსანების მოზიდვის მიზნით, ათავსებენ სახლების მახლობლად, ამ გზით აგროვებენ მავნებლს და ანადგურებს მექანიკურად.

2. სახლებში შესულ ფაროსანასთან აუცილებელია მექანიკური ბრძოლა სხვადასხვა მეთოდით (მაგ; მტვერსასრუტით შეგროვება და განადგურება).

3. აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ასევე ეფექტურად გამოიყენება ე. წ. „მოიზიდე და მოკალის“ მეთოდი. ინსექტიციდით გაუღენთილი ბაღე თავსდება ნაკვეთის პერიმეტრზე, სადაც მავნებლის მოზიდვის მიზნით, მაგრდება 2-3 ერთეული ფერომონი. ბაღესთან კონტაქტის შედეგად ფაროსანა კვდება.

4. ვეგეტაციის პერიოდში ბაღის კიდევ არსებულ მცენარეზე 5 ან მეტი ფერომონი თავსდება და ზემოთხსენებული ინსექტიციდებით ყოველკვირეული წამლობა ტარდება.

მოზამთრე პერიოდში ერთი ფაროსანას განადგურება ნიშნავს მომავალი სეზონისთვის 200-მდე ახალი ფაროსანას განადგურებას.

მარიამ ოქროქალიძე

ს კ ჯ ჰ ქ ი

„საირმე“ სპონსორის მთლიანში

18 სექტემბერს განახლდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის რეგიონალური ლიგის მე-2 წრე, სადაც ბალდათის „საირმე“ „ა“ ჯგუფში ასპარეზობს. საგაზაფხულო-საშემოდგომო სეზონის



პირველი შეხვედრა „საირმე“ მაჭახელასთან გამართა და 0:2 დამარცხდა, შემდეგ კი სტუმრად გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერთან „ბახმაროსთან“ 1:3 წააგო, რის შედეგადაც სატურნირო ცხრილში მე-11 ადგილს იკავებს.

მე-2 წრეს გუნდი თითქმის იმავე შემადგენლობით ხვდება, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ახალდამატებულ ადგილობრივ ფეხბურთელს. ტრავმიანობა არაა და ფეხბურთელები მზად არიან სათამაშოდ. იმ დაფინანსებით, რომელიც ჩვენს გუნდს გააჩნია, რთულია მაღალი მიზნებისთვის იბრძოლო ან იფიქრო. თუმცა ჩვენთან საუბრისას „საირმის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯაბა ახალაძემ აღნიშნა, რომ წლევანდელ სეზონში ლიგიდან გავარდნის საშიშროება არაა (ბოლოადგილოსანი ვარდება, სადაც „ოდიში 1919 2“ იმყოფება და 19 ქულით ვუსწრებთ) და საუბრებია სპონსორების მოძიებაზე, დეკემბერში გახდება ცნობილი ეყოლება თუ არა დამფინანსებელი „საირმეს“.

დავით ყიფიანი

ო ხ ი ო ქ ი ო ნ ინ ო წ მ ი ნ ვ ი ც ა ნ

22-24 სექტემბერს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში გაიმართა სომეხი მოჭიდავის აშოტ კონიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკთა შორის თავისუფალი სტილით ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობას იღებდა ბალდათის სპორტსკოლის მოჭიდავეთა გუნდი, რომელიც წარმოდგენილი იყო ხუთი სპორტსმენით, ასევე ჩვენი ქვეყნის რამდენიმე კლუბი და სომხეთის 6 გუნდი მათ შორის ორი ერევნიდან.

ტურნირი ბალდათელი მოჭიდავეებისთვის წარმატებული გამოდგა და მეკლუდ ჯიხვადის განრთვნილმა ბიჭებმა ორ წონით კატეგორიაში დაუმარცხებლად იასპარეზეს: 76 კგ-ში შაკო ფიფაშვილმა, ხოლო 85 კგ-ში ლუკა რურუამ პირველი ადგილები დაიკავეს და შესაბამისად ჩემპიონები გახდნენ. აღსანიშნავია, რომ ორივე ფინალური შეხვედრა ბალდათელ ჩემპიონებს თანამემამულეებთან ჰქონდათ. საპრიზო ადგილების მოპოვების შესაძლებლობა კიდევ იყო, მაგრამ მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ჩვენი ორი მოჭიდავე სამწუხაროდ დამარცხდა და მეოთხე ადგილები დაიკავეს.



დავით ყიფიანი



ბრბ-
რეკლი



სამაგრი



ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა. (ა.) ი. პ. საინფორმაციო, ინოვაციური ტექნოლოგიების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების განვითარების ფონდი
საქართველო, ბაღდათი, რუსთაველის ქ. №68
ტელ: 595 538 536; 595 452 803
ელ ფოსტა: sainformacioturizmi@gmail.com

რედაქტორი სოსო ჯობორიძე
ტექნიკური რედაქტორი ღამთა ყიფიანი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
ანა ქორიძე, მარიამ ოქროჭელიძე, ანეღინა ჭავჭავანიძე, აზა მამანეიშვილი, ნინო სახამბერიძე, ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაეხმარება
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“